



საზოგადოება და ბანკები
SOCIETY AND BANKS

მზარდი არასაბანკო ფინანსური სექტორი



www.sab.ge


მზარდი არასაბანკო ფინანსური სექტორი

დღესდღეობით საქართველოში, არასაბანკო ფინანსური სექტორის სწრაფი ზრდა აქტუალურ თემას წარმოადგენს, რაც (ყველაზე ძვირადღირებული პროდუქტის გამო) მოსახლეობის ვალის გადახდის ტვირთს და შესაბამისად, მათ ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო მეტად ამძიმებს. არასაბანკო ფინანსური სექტორიდან საკრედიტო კავშირები (კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული საწარმო, რომელიც მხოლოდ თავისი წევრებისაგან იღებს ანაბრებს, აძლევს მათ სესხს, ახორციელებს ამ კანონით ნებადართულ საბანკო საქმიანობას და რომლის უმთავრესი მიზანი არ არის მოგების მიღება) და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები რეგულირებადია; ხოლო ლომბარდები, ონლაინ კრედიტები და მევახშეები კი არა (ამ ეტაპისთვის, ლომბარდების შესახებ 2013 წლის გარკვეული მონაცემები უკვე არსებობს, რაც დადებითი ფაქტია);

არასაბანკო ფინანსურ სექტორის აქტუალობიდან გამომდინარე, “საზოგადოება და ბანკები” ამ სექტორში არსებული ვითარებით დაინტერესდა და მათ შესახებ დღესდღეობით არსებული მონაცემები მიმოიხილა.

იმისთვის, რომ ამ სექტორის რეალური სიდიდე და ამ სფეროში არსებული ვითარება დაგვედგინა, ჩვენ მათი აქტივები, პასივები გაცემული სესხები და წმინდა მოგების მაჩვენებლები მიმოვიხილეთ.


გრაფიკი 1. არასაბანკო ფინანსური სექტორის მთლიანი აქტივების და პასივების მაჩვენებლები (2013 წლის მდგომარეობით; ათას ლარებში)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი-nbg.gov.ge; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური-geostat.ge



გრაფიკი 2. არასაბანკო საფინანსო სექტორის ფინანსური მაჩვენებლები (2013 წლის მდგომარეობით; ათას ლარებში)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი-nbg.gov.ge; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური-geostat.ge


2013 წლის ბოლოსთვის არასაბანკო საფინანსო სექტორიდან გაცემული სესხების (620 მლნ ლარი) და მოგების (61 მლნ ლარის) ყველაზე დიდი ოდენობით კვლავ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები გამოირჩევა. მეორე ადგილზე ისევ ლომბარდები დგას გაცემული სესხების - 311 მლნ ლარის და მოგების - 22 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო მესამეზე კი საკრედიტო კავშირები (გაცემული სესხები - 5 მლნ ლარი; მოგება - (-17) ათასი ლარი).

როგორც გრაფიკი 1 და 2-ზე არსებული მონაცემებიდან არის ნათელი, არასაბანკო ფინანსური სექტორიდან აქტივების, მოგების და გაცემული სესხების ყველაზე დიდი ოდენობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციები გამოირჩევა; მეორე ადგილზე ლომბარდები, ხოლო მესამეზე კი საკრედიტო კავშირები დგას. ეს მონაცემები კომერციული ბანკების მაჩვენებლებთან შედარებით მცირეა, მაგრამ არასაბანკო ფინანსური სექტორის პროდუქტების სიძვირიდან და პირობებიდან გამომდინარე, გრაფიკებზე არსებული მონაცემები საგულისხმოა.

ამ სექტორში არსებული ვითარების უფრო ნათელი ანალიზისთვის, ზემოთ განხილულ მონაცემებთან ერთად, ასევე საინტერესოა საბანკო და არასაბანკო ფინანსური სექტორის აქტივების, გაცემული სესხების და მოგების ზრდის ტემპებიც მიმოვიხილოთ.



გრაფიკი 3: საბანკო და არასაბანკო ფინანსური სექტორის მონაცემების ზრდის მაჩვენებლები (უკანასკნელი სამი წლის საშუალო მონაცემი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი-nbg.gov.ge;

გრაფიკი 3-ზე საბანკო და არასაბანკო ფინანსური სექტორის უკანასკნელი 3 წლის მაჩვენებლების საშუალო ზრდის ტემპებია ნაჩვენები. აქტივების ყველაზე დიდი ზრდის ტემპით მიკროსაფინანსო ორგანიზაციები გამოირჩევა; უკანასკნელ სამ წელში მათი ოდენობა საშუალოდ 1,5-ჯერ გაიზარდა. მეორე ადგილზე საკრედიტო კავშირები დგას 1,4-იანი მაჩვენებლით, ხოლო ბოლოზე კი კომერციული ბანკები - 1,2 იანი მაჩვენებლით. რაც შეეხება მოგების საშუალო ზრდის მონაცემებს, აქ პირველი ადგილზე კომერციულ ბანკები დგას, მეორეზე საკრედიტო კავშირები, ხოლო მესამეზე კი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები. გაცემული სესხების ზრდის მაჩვენებლებით, რაც ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანია, პირველი ადგილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს - 1,5-იანი მაჩვენებლით უკავია; მეორე ადგილზე საკრედიტო კავშირები - 1,4, ხოლო ბოლოზე კი კომერციული ბანკები - 1,2 დგას.

ვინაიდან ლომბარდების შესახებ მხოლოდ 2013 წლის მაჩვენებლებია ცნობილი, ამიტომ მათი ზრდის ტემპი დინამიკაში ვერ მიმოვიხილეთ. დამატებითი ინფორმაციისთვის მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ 2013 წლის ბოლოსთვის საქართველოში სალომბარდო საქმიანობით დაკავებული 1031 მოქმედი ორგანიზაცია დაფიქსირდა. აქედან 45,8% ქ. თბილისში მდებარეობს; 13,5% - იმერეთის რეგიონში; 12,3% - აჭარაში; 10,6% - სამეგრელო-ზემო სვანეთში, ხოლო დანარჩენი 17,8% კი სხვა რეგიონებშია გადანაწილებული. 2013 წლის განმავლობაში ლომბარდებში მსესხებელთა (კლიენტთა) ოდენობა 682



ათასით განისაზღვრა, სადაც აბსოლუტური უმრავლესობა (დაახლოებით 99,8%) ფიზიკური პირია. ლომბარდების მიერ 2013 წელს გაცემულ სესხების ოდენობა - 310,7 მლნ ლარი რეგიონებზე შემდგენაირად გადანაწილდა: ქ. თბილისი - 62,1%; აჭარა - 17,7%; იმერეთი - 8,0%; სამეგრელო-ზემო სვანეთი - 5,8% და ქვემო ქართლი - 3,8%

დასკვნა

არასაბანკო ფინანსურ სექტორს ძირითადად მაღალი რისკის მქონე მომხმარებლები მიმართავენ; ისინი ვისაც გადახდისუუნარობის და მაღალი რისკის გამო, კომერციული ბანკები სხვადასხვა სახის პროდუქტებით მომსახურებაზე უარს ეუბნებიან. შესაბამისად, ასეთი ტიპის მომხმარებლები იგივე სახის მომსახურებას, თუმცა უფრო მაღალ ფასად არასაბანკო ფინანსური სექტორიდან იღებენ. აქედან ნათელია, რომ თუ მომხმარებელი გადახდისუუნარო და მაღალ რისკიანია, ის არასაბანკო სექტორის მიერ დაკისრებულ უფრო მძიმე ვალდებულებებს კიდევ უფრო ნაკლებად შეასრულებს. ამიტომაც ამ სექტორის მიერ გაცემული სესხები პროცენტულად უფრო მეტად პრობლემდება, ვიდრე კომერციული ბანკების; რაც ფინანსურად ისედაც გაჭირვებული მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო მეტად აუარესებს.

აქედან გამომდინარე, 2013 წლის არასაბანკო ფინანსური სექტორის აქტივების, მოგების და გაცემული სესხების მაჩვენებლები უკვე საგრძნობლად დიდია. ასევე მაღალია მათი ზრდის ტემპიც (უკანასკნელი სამი წლის საშუალო მონაცემებზე დაყრდნობით). ვინაიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და საკრედიტო კავშირები ეროვნული ბანკის მიერ რეგულირებად სფეროს წარმოადგენს, ამიტომ მათ შემთხვევაში საგანგაშო მდგომარეობა არ გვაქვს. რაც შეეხება ლომბარდებს (მათ მიერ გაცემული სესხების მოცულობა საკმაოდ დიდია - 311 მლნ ლარი), ონლაინ კრედიტებს და მევახშეებს (არარეგულირებად სექტორს) ეს სფერო პრობლემატურია.

სულ ცოტა ხნის წინ საზოგადოება და ბანკების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ 2013 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის მაისის ჩათვლით, აუქციონის წესით იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების მთლიან რეალიზაციაში კერძო მევახშეების სასარგებლოდ გაყიდულ უძრავ ქონებას ყველაზე დიდი წილი 65.44% უკავია, რაც საკმაოდ დიდი მაჩვენებელია და საგანგაშო ფაქტია. აქედან, ზემოთ არსებული მონაცემები და მათი ანალიზი, კიდევ ერთხელ მიუთითებს არასაბანკო ფინანსური სექტორიდან წამოსულ საფრთხეებზე და მათგან მიღებულ უარყოფით შედეგებზე, რაც საბოლოოდ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ნეგატიურად აისახება

რეკომენდაციები

კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემების მოსაგვარებლად „საზოგადოება და ბანკები“ მიიჩნევს, რომ საჭიროა:

- ❖ არასაბანკო ფინანსური სექტორის (განსაკუთრებით არარეგულირებადი სფეროს) კონტროლისთვის შესაბამისი სისტემის შემუშავება და სრულყოფა;



- ❖ არარეგულირებადი არასაბანკო ფინანსური სექტორისთვის გარკვეული შეზღუდვების დაწესება (მაგ. ლომბარდებში ასაკობრივი შეზღუდვების დაწესება);
- ❖ ფინანსური კანონმდებლობის მომხმარებლების ინტერესებზე მაქსიმალურად მორგება;
- ❖ საზოგადოებაში (როგორც მსესხებლის ასევე კრედიტორების) ფინანსურ განათლების დონის ამაღლება;
- ❖ ქვეყანაში ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.



